შაბათი, ივნისის 21 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 114.

ჩვენი ქვეყანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური მესამე

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა-სტამბა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ჩვენი ქვეყანა"-ს რედაქციის კანტორასთან და-
ხსნდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ
მოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე
ითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

გულდათუთქულნი და დამწუხრებულნი მეუღლე ივანე კონსტანტინეს ძე მდივანი, ქალიშვილი მარუსია, დედა მარიამ მიხეილის ასული და ლუტუ სპირიდონის ასული ჯინჯიხაძენი, და ქსენია სპირიდონის ასული ჯაფარიძისა მეუღლითურთ, ქვისლები მაქსიმე ლუარსაბის ძე გრიგოლაშვილი შვილით, პოლიკარპე ვასილის ძე ნიშნიანიძე შვილითურთ ძმები: იოსებ, მიხეილ და სვიმონ კონსტანტ. მდივნები, ოჯახით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 22 ივნისს (ახ. სტილ.) დილის 10 ს., საფიჩხიის სასაფლაოზედ ეკლესიაში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ნადეყდა სპირიდონის ასულის მდივნის

სულის მოსახსენებლათ. 2—2

კვირას 22 ივნისს ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ომში გმირულად დაკარგულის პოდპოლკოვნიკ

ანდრია ნესტორის ძე დადიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი ვერა ალექსანდრეს ასული დადიანისა, ძმა ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი ოჯახობით, დები ივლიტე ნესტორის ასული ჩიჩუასი, პელაგია ნესტორის ასული დადიანისა და სიძეები გიორგი კოსტანტინეს ძე ჩიჩუა და დავით (ფუხუ) კირილეს ძე დადიანი. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზე. 3—2

ენათ მეცნიერების და ლიტერატურის

კურსები.

ქართული,
ფრანგული,
გერმანული,
რუსული,

გრამატიკა, ფონეტიკა, სემანტიკა, ლიტერატურა. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო ივნისის 20. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, კლდიაშვილის სახლი.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელი ძ. ზ. **კაპანელი.**

ბეკარი ქუთაისის სადგურზე მატარებელ № 3-ზე საფულე რომელშიაც იყო 6400 მანეთი და სხვადასხვა საბუთები: უვადო პასპორტი № 56 მოცემული ძველად მაზრის ... ისისაგან. მნახველს ვსთხოვ საბუთები დამიბრუნოს და ფული თვითონ ჰქონ- მისამართი: ორპირის ქუჩა გიორგი ბაზაძის სავაჭროში — **ეპიფანე ზალის ძე ქუთათელაძეს** 1—1

კვირას, 22 ივნისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი თბილისის მოქალაქის

ნიკოლოზ მისეილის ძე შენგელიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ნათლის მამა და ნათლის დედა შვილებითურთ ალექსანდრე თემურაზის ძე და ოლღა სიმონის ასული სანიკიძეები.

მშობლები: ალექსანდრე და მარიამი მღებროვები; ძმები: ვანიკო, მიხეილი და სერგო; ბიძა ბიჭიკო ჯანოევი, დეიდები დესპინე ჯანოევის ასული და ვერა ქრჩოროვისა მამიდები: მარიამ და ელისაბედი მღებროვისა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობართ, რომ 17 ივნისს ქ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახალხო მასწავლებელი

შუშანა ალექსანდრე მღებროვის ასული

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საადზე. პოლიციის ქუჩა, ჯანოევის სახლი № 2. გამოსვენება მოხდება კვირას ნაშუადღევის 4 ს. საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—1.

პოლიტიკური საფრთხე.

პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ რთულდება. მსოფლიო პოლიტიკურ ორიზონტზე შავი წერტილი გაჩდა, რომელიც თანდათან მსხვილდება და შავ ღრუბლებს აჩენს. ეს შავი წერტილი რუსეთია — ის რუსეთი, რომელიც ბარბაროსობით, დუხჭირი რეჟიმით, პოგრომებით და პროვოკაციული გამოსვლებით ხასიათდებოდა. რევოლიუციის ხანაში სოციალისტური და დემოკრატიული გამოძახილი რუსეთის ტერიტორიას ვითომ პროგრესიული ქვეყნის ელფერს აძლევდა, მაგრამ რუსეთის უდაბურ ტყეებში, დაშმორებულ ჭაობებში და აქოთებულ არქივებში სინათლის სხივი ვერ გაივლის და თუ გაიარა, უეჭველათ ჩაქრება. რუსეთის განათლებას და გაბრწყინვებას საუკუნოები სჭირდება, ორი სამი წლის რევოლიუცია მას სახეს ვერ შეუცვლის. შარშან თავისუფლების მოქაქანე რუსეთი შარშან გადემოკრატებული რუსეთი, შარშან სოციალიზმის მოქადაგეთ და ნიმუშათ გამოსული რუსეთი დღეს ორ სამ ხულიგან ლენერალს ხელში უკავია და ბარბაროსობის პროგრამას აწარმოებს.

აი ასეთია რუსეთი და მიტომ არასოდეს არა გვწამდა ჩვენ იქიდან გაგონილი თავისუფლების ხმა, არასოდეს არა გვჯეროდა, იქიდან ნაკარნახევი პროგრესიული კილო, არასოდეს არ გვეიმედებოდა იქიდან მოცემული სალამი, თუნდა ეს ყოფილიყო რუსეთის დემოკრატიისა, რადგან ვიცოდთ, რომ რუსეთი დიდია, მეტათ ბნელია და მისი ადრე გაღვიძება, გამოფხიზლება და განწმენდა შეუძლებელია. იქ ყოველი ნათელი აზრი ბნელი უმეტესობით ყოველთვის დახშულია.

დღეს რუსეთი მისულა მოკავშირე სახელმწიფოებთან და მეგობრულათ ელაპარაკება, თუმცა რუსეთს არც ერთ ევროპის სახელმწიფოებთან და მით უმეტეს ამერიკასთან არავითარი გონებრივი კავშირი და სულიერი ნათესაობა არა აქვს და მათ შორის მეგობრობის ნიადაგი არ არის, მაგრამ საერთო მიზანმა დროებით, გაჭივრების დროს, ისინი დაალაპარაკა — ეს საერთო მიზანი იყო **გერმანიის დამარცხება** — ღლეს ასეთი მიზანია **ბოლშევიზმის განადგურება,** აი მათი სალაპარაკო საერთო ენა.

ხანგრძლივი ომით ღონე გამოლეული და რევოლუციით ბრუა დასხმული რუსეთი ანარქიის ცეცხლში იწოდა, მაგრამ რაღაც შემთხვევით გადარჩენილი ნედლი მასალისაგან კიდევ შეიკონვა პოლიტიკური სხეული ძველი დახავსებული სახით და კოლჩაკ-დენიკინის სახელით წარმოდგა. აი რას ეუბნება ეს დღევანდელი რუსეთი ევროპას თავის წარმომადგენლის სავინკოვის პირით: **„ჩვენ ვებრძვით ბოლშევიზმს, მოგვეხმარეთ, გვიშველეთ, თორემ იძულებული ვიქნებით, გერმანიას შეუერთდეთო.“**

პოლიტიკაში რომ პატიოსნება და ნამუსი იყოს მიღებული, მერწმუნეთ ასეთ წარმომადგენელს არსად ადგილი არ ექნება და ასეთი წინადადება სამარცხვინო ბეჭედს დააჯენს მის წარმომადგენელს. მაგრამ საუბედუროთ პოლიტიკასა და დიპლომატიაში ყველაფერია რაც გინდათ პატიოსნებისა და ნამუსის მეტი, ამიტომაც სავინკოვს სამარცხვინო მუქარა უხმარია და ის კიდეც მოსმენილია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე სახელმწიფოები იმდენათ გამსჭვალული არიან გერმანიის მტერობით და იმდენათ ამხედრებული არიან გამანადგურებელი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომ სავინკოვს ემუსაიფებიან და დახმარებისაც აძლევენ.

მოკავშირეთა ძალით ზურგ გამაგრებული კოლჩაკ-დენიკინი მართალია რუსეთში ბოლშევიზმს ებრძვიან, მაგრამ შიდა რუსეთს გარეთ უწინდელ კაციჭამია პოლიტიკას ეტანებიან, ბაქოსა და ბათუმისკენ მადა გახსნილი იყურებიან და შურის ძიებით აღვსილნი ჩვენ, სრულიად უდანაშაულოს და ბოლშვიზმის აურზაურში უვალოს და უნაწილოს, ჯოჯოხეთს გვიმზადებენ. ამას წინათ ბაქოში ბიჩერახოვი ატყობდა ტომსონს, რომ თფილისში ბოლშევიზმია მოსასპობი და დღეს დენიკინი ატყობს მათ წარმომადგენელს.

აი ასეთი ანკესი არის გადაგდებული ბნელი რუსეთის წარმომადგენელისაგან და ვინ იცის, რომ ცარიელი დარჩება და ზედ ევროპის დიპლომატიც არ დაეცმის. ნუ დავივიწყებთ, რომ პროვოკაციაში და პოგრომის მოწყობაში რუსს მეტოქე არა ყავს და ამ ხელობაში პირველი ხარისხის დიპლომი უწინაც რუსს ჰქონა და დღესაც მასვე აქვს.

თვით პროვოკაცია ჩამომავლობით რუსია.

როგორ გზას უნდა დავადგეთ ჩვენ, რა პოზიცია უნდა ეკავოს ჩვენ მთავრობას და რა საშუალება უნდა ვიხმაროთ რომ ბნელმა რუსეთმა ევროპის დახმარებით არ მოგვსპოს?

ასეთ არეულ მდგომარეობაში, ასეთ საერთო გაუგებრობაში ერთი რამ უდავო და ჭეშმარიტია—ეს ის, რომ **რუსეთის გამდიდრება და ამიერ-კავკასიაზე გაბატონება არც ერთ სახელმწიფოს არ სურს**. თუ ეს შემთხვევით არ მოხდება, განზრახ ამას არც ერთი სახელმწიფო ხელს არ შეუწყობს და აი სწორეთ ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ ჩვენ, ამ დებულებას უნდა დაეყრდნოს ჩვენი მთავრობა. ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ომი, ბოლშევიზმისაკენ მიმართული ყუმბარა ჩვენ ვერ დაგვაქცევს, თუ საქმის გამორკვევა შევსძელით; თუ ქვეყანა ამაში დავარწმუნეთ და თუ მენშევიზმი ბოლშევიზმში არ აურიეს, კოლჩაკსა და დენიკინს ჩვენ საწინააღმდეგოთ არავინ არ მოეხმარება. ჩვენმა მთავრობამ უნდა შესძლოს ამის დამტკიცება. პირიქით ჩვენ გვევალება მოკავშირე სახელმწიფოთა საშუალებით მოვაწყოთ, რომ შეზღუდული იქნეს ბნელი რუსეთის წარმომაგენელთა სურვილები, მით უმეტეს რომ თვით კოლჩაკისა და დენიკინის დღევანდელი მდგომარეობა შემთხვევითია, მათი გაძლიერება დროებითია, მათი ნიადაგი სუსტია და დღეს თუ ხვალ ისევ შიდა რუსეთში დაბუგებული მათი საწინააღმდეგო ძალა ხელახლა ამოხეთქს და მათ ისევ შინაურ ცეცხლში გახვევს. მთლიანი რუსეთი, ერთი რუსეთი, მთელი რუსეთი—ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც ჯერ განსახიერებას ვერ ეღირსება. და თუ ეღირსა—ყოველ შემთხვევაში კოლჩაკ-დენიკინის სახით არ წარდგება ქვეყნის წინაშე. რაც იქ კულტურას დაუთესია ასე უცბათ არ მოისპობა და ბარბაროსული რუსეთი მუდამ ასეთათ არ დარჩება.

ჩვენი მთავრობა უნდა ეცადოს, რომ ამ დროებითი და შემთხვევითი შექმნილი გარემოების მსხვერპლი არ შევიქენით. თუ ქვეყანას ჩვენი სახე სისწორით ვაჩვენეთ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ ჯალათობას რუსეთს არავინ შეახვედრებს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

საქართველოს საერთაშორისო უგზოდურეგის მიზეზები.

წინა წერილებში ჩვენ გამოვარკვიეთ ნათლად და მკაფიოდ რომ ინგლისი და მისი მოკავშირენი, დღეს გამარჯვებულნი და გამგენი მთელი ქვეყნის ბედისა, ებრძვიან საქართველოს სოციალისტობისათვის იმიტომ რომ სოციალისტობა არის ეკონომიური და სულიერი ცხოვრების დანგრევა და საშინელი კატასტროფა მთელი კაცობრიობის კულტურისათვის.

ამის შემდეგ დავსვით საკითხი: არის თუ არა ქართველი ერი, მისი მასა, დამნაშავე ამ სოციალისტობაში?

ამაზე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არა თვით მარქსის მოძღვრებიდან, მარქსისტული ლიტერატურიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ არა ერთი მჭერმეტყველი საბუთი იმისა, რომ ჩვენი მიწის მუშა რომლის უმეტესობისაგან შესდგება ჩვენი ერი არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს სოციალისტი. მაშასადამე, არ არის მასში მისწრაფება ნგრევისა და რღვევისადმი, იგი უაღრესად მესაკუთრეა და მისი ქონებრივი ცხოვრება მისი მოქმედება აგებულია ისეთსავე საფუძველზე, როგორზედაც გამარჯვებულ სახელმწიფოთა ცხოვრება არის დაყრდნობილი. მაშასადამე კონფლიქტები ამ მხრივ საქართველოს და ევროპას შუა ყოვლად შეუძლებელია.

მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ გამარჯვებული მოკავშირენი ჩვენ ყოველ მხრივ ზარბაზნებს გვიშენენ?

პასუხი ასეთია: ჩვენი მთავრობა და მისი პოლიტიკა, მისი მოქმედება, მისი ხან აშკარა ხან ფარული სოციალისტობა.

დიახ, სწორედ ასე არის, და ჩვენი ტრაგედიაც ჩვენი უბედურებაც იმაში გახლავთ, რომ ერი ჩვენი განსაცდელშია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჰყავს მთავრობა სოციალისტური, ისეთი მთავრობა, რომელიც ჯერ თვითონ ჩვენი ერის მისწრაფებას და საარსებო ინტერესებს ეწინააღმდეგება და გარეშე ძლიერი მტერიც გაუჩინა, გაუჩინა მტრად ის გამარჯვებული დიდი სახელმწიფოები, რომელნიც არიან გადამწყვეტი ჩვენი ბედისა.

უდავო არის ეს, ესე იგი უდავოა რომ არასოციალისტური პარიზის კონფერენცია სწყვეტს დღეს საკითხს ჩვენი ყოფნა არ ყოფნისას. ამ პარიზის კონფერენციაზე რომ წავიდენ ჩვენი დელეგატები ეშუამდგომლებიათ ერის სახელით, რათა კონფერენციას დაემტკიცებია ჩვენი დამოუკიდებლობა, სასაცილოდ მოიქცენ.

მათ დაივიწყეს სიბრძნე იმ ერისა, რომელმაც იგინი წარგზავნა.

და სწორედ ბრძოლა დაუწყეს მათ ვისაც თხოვნით მიმართეს: ბრძოლა დაუწყეს მით რომ იქაური სოციალისტებს ესე იგი იქაური მთავრობების და დიდი უმრავლესობის წარმომადგენლების მტრებს მიმართეს საშველად.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ წინააღმდეგ აამხედრებდენ მათ, ვის ხელშიც ჩვენი ბედია. სხვანაირად ვერც მოიქცეოდენ, რადგან ჰგონიათ, რომ მხოლოდ მაშინ დადგება ბედნიერი დღეები, როცა სოციალისტები გაიმარჯვებენ; რუსეთის მაგალითმა, სადაც სოციალისტების გამარჯვებას მოჰყვა აუწერელი სისხლის ღვრა და უბედურება მთელი ერისა და, მაშასადამე, მუშათა კლასისაც, მათ ვერაფერი ვერ ასწავლა მიტომ, რომ თვინიერ თავის დრო მოჭმული კარაბადინის არაფრის სწავლა არ სურთ. არ სურთ და ჩვენ ქვეყნის უბედურებაც სწორედ იმაშია, მათ ეინიანობაში მდგომარეობს.

ადამიანის სულს ერთი თვისება აქვს კაცი იმდენად ჭეშმარიტი აზრის, ჭეშმარიტი გზის გამონახვაზე კი არ ზრუნავს, რამდენათაც მის მიერ ერთხელ ასე თუ ისე მიღებული აზრის დაცვაზე: მას ასე ცრუ თავმოყვარეობა ამოქმედებს.

არიან ჩვენი მთავრობის პარტიაში ისეთი კაცებიც (რასაკვირველია, თითებზე ჩამოსათვლელი), რომელთა რწმენა, რომელთა სულის ჩამდგმელი იდეა სოციალიზმია.

მიუხედავად იმისა, რომ ეგ იდეა ჩვენთვის დამღუპველია, ჩვენ მათ პატივს ვსცემთ, როგორც იდეიის მატარებლებს.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბედი გვაიძულებს ვსთქვათ:

მთავრობის უუდიდესი და უუწმიდესი დანიშნულება და ვალია ქვეყანა უბედურებას გადაარჩინოს; და, რადგან დღეს ამ უბედურების წყარო სოციალისტობაა, ჩვენში მთავრობამ ზომიერი რეალური პოლიტიკა უნდა აწარმოოს. ეს იქნება არა დამარცხება, არამედ დიდი გამარჯვება.

დიდი სულის მქონე ქართველმა ბაგრატ მეფემ, სამშობლოს განსაცდელის ჟამს სთქვა:

„ვინაც სულსაც არ სწირავს მამულს, იმას არ ეთქმის მამულის შვილი“.

ჩვენ დღეს მთავრობას ვეუბნებით, მოგვაგროვოს, მტრებს გვაჯახოს, შეიწიროს ჩვენი დდენი, შეიწიროს ჩვენი სიცოცხლე, მხოლოდ მან სამშობლოს საკურთხეველზე მოიტანოს მარქსის მოძღვრება, თორემ დაიღუპება ეგ მთავრობაც და ჩვენი ქვეყანაც.

კ. ლომთაძე.

დეპეშები.

საქ. დაპ. სააგენტო.

ინგლისური პრესისი ცნობები.

ციურიხში არეულობაა. ციურიხიდან იუწყებიან, რომ იქ არეულობა მოხდა. პარასკევს საღამოს მუშათა მიტინგები მოხდა. რომელზედაც განაცხადეს, რომ კონრად ნისი, მუშათა კავშირის მდივანი, დააპატიმრეს იმ დროს, როდესაც ის შვეიცარიის საზღვარზე გადასვლას აპირებდა, მას თან ქონდა დიდძალი პროკლამაცია, ის ციურიხის კანტონის ერთ ერთ ციხეში მოათავსეს.

გერმანული პრესის ცნობები.

„პოზენის გაზეთ“-ის ცნობით ფრონტის აქეთ 20 კილომეტრის მანძილზე ზურგის დაწესებულებათა დასაცავათ სამხედრო წესები გამოცხადდა. იუწყებიან, რომ ფრანგები პოლონეთს ეხმარებიან, ადმინისტრატორებად და ქალაქის მოურავებად ფრანგებს ნიშნავენ.

უკრაინიდან მოსულ ცნობებში აღნიშნავენ, რომ 4 ივნისს საღამოდან უკრაინასა და რუმინიას შორის ურთიერთობა შესწყდა.

ციურიხში მუშათა კავშირმა როზა ლიუქსენბურგის ხსოვნის პატივსაცემლად მიტინგი გამართეს. წარმოითქვა სიტყვები და გამოირკვა, რომ მუშათა კავშირის მდივანი კონრად ნისი 2 დღის წინად შვეიცარიის საზღვარზე დაუპატიმრებიათ და საოლქო ციხეში ჩაუსვამთ. ციხეს ბრბო გარს შემოერტყა. ციხის ყარაულმა ბრბოს სროლა აუტეხა, ბრბომ სროლითვე უპასუხა. ნისი გაანთავისუფლეს და ბრბო დაიშალა დამის 12 საათზე. 16 დაჭრილი საავათმყოფოში გაგზავნეს, 2 გზაში გარდაიცვალა.

ლინაბურგში პანიკაა, წითელი ჯარი სმოლენსკის მიმართულებით უკან იხევს. ლიუმბერიდან მოსულმა შიკრიკმა უკრაინელების შემდეგი განცხადება მოიტანა: პოლონეთის ჯარი აღმოსავლეთ გალიციაში შედის და ეხლახან დანიშნული ლონეთის ადმინისტრატორები, უკ[illegible] ლების დაბრუნებლ[illegible] ამხედრებენ, [illegible] სები და შესდგა სამხედრო დამსჯელ[illegible] მები. უკრაინის ჯარის კაცებს და [illegible] ცრებს, რომლებიც პოლონელებს [illegible] მოყავთ, დაუყონებლივ აღრჩობენ.

სახელმწიფო მდივანი დარი[illegible] ფრეიე-პრესს“-ში აღნიშნავს მუშათა[illegible] სის უკმაყოფილებას, რომელიც [illegible] ვეულია უმუშევრობის და სურსათი[illegible] შკირით. ვერსალის საზავო ხელშ[illegible] ლებას შეუძლია ხალხი უნუგეშ[illegible] მიიყვანოს. კომუნისტები სარგებ[illegible] ამ მძიმე სულიერ მდგომარეობით [illegible] თა დიქტატურის შესაქმნელათ და [illegible] თის საბჭოთა რესპუბლიკისთვის [illegible] დასაჭერათ.

კვირას ლიუბეკში აჯანყება მოხდ[illegible] მელმაც ცარცვის ხასიათი მიიღო. [illegible] დენიმე რესტორანი კაფე-ოტელებ[illegible] დუქნები სრულიად განადგურებ[illegible] მიზეზი რბევისა სურსათის სიმცირ[illegible] მუშებმა შეადგინეს თავდაცვის რაზ[illegible] ცარცვას ხელი შეუშალეს გატაც[illegible] საქონლის უმეტესი ნაწილი ჩამ[illegible] მევს და აღნიშნულ ადგილს დააბრ[illegible]

ახალი ამბავ[illegible]

ქუთაი[illegible]

ინგლისელთა ახალი ნაწილები. „გრუზიას“ გადმოცემით ამიერ-კავ[illegible] ში მოვიდა ინგლისელთა ახალი ნა[illegible] ბი იმ ნაწილების შესაცვლელად, [illegible] ლნიც სამშობლოში წავლენ.

✦ „მოლიპულ გზაზე“. დღეს [illegible] ქის თეატრში ქართველ მსახიობთა [illegible] წარმოდგენილი იქნება „მოლიპულ[illegible] ზე“.

✦ **მოსალოდნელი დამშევა.** [illegible] გორც ახლო-მახლო სოფლებიდან [illegible] ყებიან გამუდმებულმა წვიმებმა [illegible] ყანები და ვენახები წაახდინა.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქუთაისის ქ[illegible] საბჭომ 9 ივნისის სხდომაზე ხორც[illegible] დეგი ნიხრი დააწესა: ხორცი საქ[illegible] (დაუწონავი) 7 მან. გირ. ღორის [illegible] რაკის გატყავებული 7 მან. ცხვრ[illegible] თხის 7 მან. ხბოს 6 მან. კამეჩის [illegible] წონავი) 5 მან. ღვიძლი, ტყლ[illegible] ფიჭვი საქონლის 3 მან.

შენიშვნა: დაწონილი ხორცი ა[illegible] რით ნაკლები ღირს, მაგრამ დაწ[illegible] ნაჭერი ნაყიდ ხორცის მეხუთედ [illegible] არ უნდა აღემატებოდეს.

ქონი ყოველნაირი 10 მან გირ[illegible]

ვაჭრობა სწარმოებს დილის 6 სა[illegible] ნაშუადღევის პირველ საათამდე. [illegible] ობით ხორცის გაყიდვა არ სწარ[illegible] ვინც ამ დადგენილებას და[illegible] დასჯილი იქნება სასჯელთა წ[illegible] 29-რე მუხლის ძალით.

✦ **წინადადება.** შინაგან საქმე[illegible] მინისტრაციის ინსპექტორის თან[illegible] ს. გეგელაშვილმა წინადადება მის[illegible] რის კომისრებს, რათა დაუყონებლ[illegible] მოადგინონ სია ყველა სოფლის [illegible] რების, მათი თანაშემწეების აგრ[illegible] ველგვარი ცნობები მილიციის [illegible] ბის შესახებ.

✦ **ქურდობა.** 11 ივნისს, ირ[illegible] ხამინჯიას ქვრივს, მისი სახლში [illegible] ნის დროს ახლათ დამდგარმა [illegible] მარო ქვარიანის ასულმა მოპარა [illegible] სხვა ძვირფასი ნივთები, ღირებულ[illegible] მან. რომელიც მატარებლით [illegible] მიღებულია ზომები მის დასაჭ[illegible]

✦ **დიდი საჯარო სეირნობა** [illegible] დღეს ეგნატე ნინოშვილის სახ[illegible] ქალთა პირველ დაწყებითი უმაღ[illegible]

...ის დარბაზში და ბაღში, ამავე ...ბლის სასარგებლოთ გაიმართება ...ერო სეირნობა საღამო. ბაღი ...ბული იქნება ფერადი ჰრაქებით. ... სამხედრო მუსიკა და თარი.

...რმოდგენა. კვირას ივანობისთვის ...ი ლაგირის ქუჩაზე სიმონ მარ...ის სახლში გაიმართება წარმო... ...ეა ფშაველას წიგნთსაცავ სამკითხ... სასარგებლოდ, წარმოდგენილი 1 გაიძვერებიდან მე 2 მოქმედება. ...ქთა კრება 3 მრეწველნი 1 მოქ-

...ინიატურა. ქუთაისში ამ მოკლე ...იხსნება „მინიატიურა", ყოველ ...ნება ორი სეანსი. მონაწილეობას ...ნ თფილისის გამოჩენილი მსახიობ... ...ქნება კაბარე. გასართობები. და... ...რთულია ევროპიულათ.

რაჟდენ გვეტაძის საღამო ...აში. ამ მოკლე ხანში ქ. ყვი... ...ი ახალგაზდა მწერალი რაჟდენ ... გამართავს ლიტერატურულ სა...

...ავთის ქურდობა. 9 ივნისს ფოთ... ...ეჩეს საექციონერო საზოგადოების ...ს ვერძი"-ს საწყობი საიდანაც წა... 20 ყუთი თითო ორ ფუთიანი. მი... ...ს უფროსმა მალნარაძემ ამ საქმის ... დააპატიმრა ანტონ ყურუა და ...ვეჩია. სხვების წინააღმდეგ მიღ... ...ა ზომები.

...ტარა ფელეტონი.

1+3=4.

...ვიცი მკითხველი ღამით წაიკითხავს ...რიქონებს თუ არა. შეიძლება ვის...შინაც მოუხდეს წაკითხვა ჩვენი ეხ...ელი მთავრობის არსებობიდან ოთხი ...წადი რომ შესრულდება, მაგრამ ეს ... მოხდა ღამით, როცა მხოლოდ ...ტრონის ვ·რსკვლავები ანათებდა და ... მინისტრები სულ რამდენიმე თვის ...ნ.

ამ დროს ჩვენს წინაშე წამოიჭრა ...ლო ზომის, დაბალი წონის, გაუ...ვი, წითელი „ღალსტუკით" „ტრო...“ ხელში ვინმე ვაჟკაცი და დაი...

— ბატონმა ლექტორმა ყველაფერი ...ლი სთქვა, მაგრამ როგორც მისი ...ვემიდანაც სჩანს მას არ ჰყავრებია ... მთავრობა, რომელსაც სათავეში, ...ავე ღრმად მოხუცებული და ყველა... ...პატივცემული ურატაძე უდგას.

— ხა, ხა, ხა, ხა, — თავი ნოე ჟორ...ა. და არა ურატაძე.

— ეს სულ ერთია, ნოე ჟორდანია და ...ტაძეც ორივე სოც. დემოკრატია ...ჟორდანიას, რატომ ურატაძესაც არ ...ლია იყვეს გამგე ჩვენი მთავრობის?!. ...სრულებელი ტაში).

— მადლობას მოგახსენებთ ამხანაგე... ...ტაშისათვის, მაგრამ მე ჯერ არ და...უღლებია ის რაც უნდა მეთქვა. ჩემი ...აზრება ისე სწორია, როგორც ეხლა ... არის.

— შეშლილი უნდა იყვეს, შეშლილი, ...ა ღამეა სინათლე რომ არის ეს ელე... ...ხონის ბრალია.

— ხოლო ელექტრონის? კი მაგრამ ...ექტრონი რომ არ ყოფილიყო იმ ...ხვევაში მზე იქნებოდა და სინათლე ... არ ყოფილიყო არც ლექტორი წა...თხავდა აქ ლექციას, რომლის დებუ...მათა გასაბათილებლად მე აქ გამო...ი.

...რიახ. მე იმის თქმა მინდოდა ამხანაგე... რომ პატივცემულმა ლექტორმა უდი... ...თ ახსენა ის მთავრობა, რომელიც ...ხი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებს როგორც რევოლიუციიდან მონაპოვარს, ისე დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას.

— ხა, ხა, ხა, ხა!...

— რას იცინით? თქვენ მაინც არ გჯერათ ეს?

— ჩვენი მთავრობა მხოლოდ ერთი წლიწადის რაც დაიბადა.

— ხოო, ეს მე დამავიწყდა, მაგრამ ერთი წელიწადი ხომ არის და განა სულ ერთი არ არის? 1+3=4 და ამასაც მალე ვღირსებით.

ამხანაგებო როგორც თქვენის თვალებით დაინახეთ მე დავამტკიცე: ერთს რომ სამი მიუმატოთ იქნება ოთხი და ამით მე სასტიკათ გავაბათილე ის დებულებანი, რომელიც აქ პატივცემულმა ლექტორმა წამოაყენა.

ჩემი სიტყვა დავათავე, მაგრამ ამასთანავე მე არ შემიძლია წინდაწინ მადლობა არ გამოგიცხადოთ იმ ტაშისათვის, რომელიც ჩემი სიტყვის დასრულებას მოჰყვება.

პარტერი იცინის, ქანდარას ტაშის ცემით ცეცხლი ეკიდება.

—

ბევრი დარწმუნდა რომ დაბალი წონისა და წითელ „ღალსტუკიანმა" ვაჟკაცმა ლექტორი დაამარცხა.

იგი ქუთაისის საზოგადოებამ გაადიდა, მაგრამ უმრავლესობამ არ იცოდა ვინ იყო იგი.

დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ პარიზიდან მიღებული რადიო დეპეშიდან გამოირკვა რომ ეს საარაკო ვაჟკაცი ყოფილა ერთ ერთი დიდი ქალაქის თავი, — ვინმე ფერაძე.

როგორც მაღალ სფეროებში ლაპარაკობენ ჩვენს მთავრობას განზრახვა ჰქონია, რომ ამხანაგი ფერაძე მიწვეულ იქნეს საქმის გარეშე მინისტრათ.

ისკანდერ ბეგ.

შიმშილობა მოგველის.

იმ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენ ყოველ დღიურათ მოგვდის დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან ნათლად სჩანს, რომ მომავალ წელში დიდი შიმშილობა იქნება.

კოკის პირულმა წვიმებმა ერთი თვის განმავლობაში გამუდმებულად რომ ასხამს სოფლის მეურნეობას სული შეუწუხა და ლამის არის ყველაფერი გაანადგუროს.

საზოგადოთ დასავლეთ საქართველოში ისეთი ნიადაგი არის რომ წვიმები არ სწყენდა, პირ იქით წვიმიან წელიწადს ჰირნახულის კარგი მოსავალი იყო, მაგრამ მიმდინარე წელს წვიმამ და წყალდიდობამ გადააჭარბა, რასაც აუცილებლად მთელი ხალხის დამშევა მოჰყვება.

სოფლებიდან მიღებული ცნობების თანახმად ეხლანდელი ტაროსი უფრო მარტის ცივ კვიმატიან დღეებს წააგავს, რაც როგორც ყანებს ისე ზვრებს და ბაღებსაც ანადგურებს.

თუ ჩვენში ავდრები მაღლობ ადგილებს პირიქით უხდებოდა წელს ასეთი მაღლობები გამუდმებულმა წვიმებმა ჩამორეცხა და რამდენიმე თვის ნაშრომი გლეხობას აზარალა.

ვაკე ადგილებში კი ტბები დადგა სამარგელი სიმინდი ჩააყვითლა და დალპო. ვენახები უშაბიამნოთ ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი სრულიად წაახდინა, ხეხილს ნაყოფი დააყრევინა, და პურის ყანებს კიდევ საშუალება არ მისცა მარცვალი გაეკეთებია.

ერთი სიტყვით ეხლანდელმა გამუდმებულმა წვიმებმა სოფლის მეურნეობა ერთიანად გაანადგურა და თანდათანობით სპობს.

ბევრი წყალდიდობა და წვიმები უნახავს დასავლეთ საქართველოს, მაგრამ წელს რომ ამბავია ასეთს არავინ მოსწრებია და გლეხობა სასწორკვეთილებაში ჩავარდა.

მომავალ წელს შიმშილობა რომ აუცილებელია ეს ცხადია, მაგრამ რომ ამ საშინელებას თავი დავაღწიოთ და მთელი ხალხი შიმშილით არ ამოწყდეს საჭიროა ისეთი ზომების გამონახვა, რომელიც ჩვენ ერს ფიზიკურ განადგურებისაგან იხსნის.

ამ გარემოებას უმთავრესათ ჩვენმა მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება და ეხლავე ზომები მიიღოს.

მართალია გზები ჩრდილოეთისაკენ დაკეტილია საიდანაც ჩვენში ბლომად მოდიოდა პური. ჩვენ ჩრდილოეთიდან არაფერს უნდა მოველოდეთ, მაგრამ უნდა მოეწყოს საქმე რომ მოკავშირეებმა უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა პურით.

მთავრობა ეხლავეს უნდა შეუდგეს საქმეს და მოკავშირეებთან მოლაპარაკება გამართონ. მეტი საშველი არ არის და თუ ეს არ მოხერხდა უბედურება მოგველის.

ყველასათვის წარმოსადგენია, რომ დამშეულ ქვეყანაში აუცილებლად ათას გვარი არეულობა და აჯანყება იჩენს თავს, რაც სახელმწიფოს შეასუსტებს და აღმაშენებლობითი მუშაობაში ხელს შეუშლის.

ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. სუსტი სახელმწიფოებრივი მექანიზმი ვერ აიტანს დამშეულ ხალხის აბობოქრებას და ვინ იცის შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობა მსხვერპლი შეიქნეს კარზე მომდგარ შიმშილის საშინელებისა.

ამისთვის მართებს მთავრობას ამ თავითვე მიიღოს ზომები და ქვეყანა განსაცდელისაგან დაიხსნას.

ნ

ხელშეკრულება ადერბეიჯანიას და საქართველოს შორის.

მთავრობამ წარუდგინა დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლათ შემდეგი ხელშეკრულება დადებული 16 ივნისს ამა წლისა ქ. ტფილისში საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა მთავრობის შორის.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ გეგეჭკორმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ-ნ რამიშვილმა, სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენ. გედევანიშვილმა, სამხედრო საბჭოს წევრმა გენ. ოდიშელიძემ ერთის მხრივ და ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ ჯაფაროვმა, სამხედრო მინისტრმა გენ. მეხმანდაროვმა და გენერალურ შტაბის უფროსმა გენ. სულკევიჩმა მეორეს მხრივ, გაეცნენ რა რწმუნებლობის საკითხს და სცნეს იგი წესიერ და ნამდვილ დონეზე, დასდეს ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მოსალოდნელ სერიოზულ მუქარის გამო შემდეგ საფუძველზე.

1) შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხენ თავის თავს გაილაშქრონ ერთად მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველივე თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას ერთს ან ორთავე შეთანხმებულ რესპუბლიკებს.

შენიშვნა. ეს პარაგრაფი არ ვრცელდება სასაზღვარო კონფლიქტებზე, რომელიც აღმოცენდება კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიალურ ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ნიადაგზე.

2) თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, თანახმათ პირველ მუხლისა მტერზე გალაშქრების დროს დაეცემა ერთ რომელიმე მოკავშირეთაგანს, იმ მიზნით, რომ იარაღით გადასწყვიტოს [illegible] ...ღვრო დავანი, [illegible] აღიარებულ იქნება მებრძოლ მხარეთ.

3) ეს ხელშეკრულება მტკიცე მოგერიებითი ხასიათისაა და თუ რომელიმე მათგანი ერთი მეორის დაუკითხავათ და შეუთანხმებლივ საკუთარ ინიციატივით უცხადებს ომს ან იწყებს საომარ მოქმედებას, მაშინ მეორე შეთანხმებული მხარე მოვალეთ არ რაცხს მონაწილეობა მიიღოს ამ საომარ მოქმედებაში.

4) შეთანხმებული მხარეები მოვალენი პირობას სდებენ, რომ ყოველივე მოსალოდნელი დავა საზღვრების შესახებ გადასწყვიტონ ან შეთანხმებით ან არბიტრაჟით, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორთავე მხარისათვის.

5) ეს ხელშეკრულება იდება 3 წლის ვადით. 1 წლის წინად ვადის გასვლამდე ყოველ შეთანხმებულ მხარეს უფლება ეძლევა განაცხადოს თავისი სურვილი ამ ვადის გაგრძელების შესახებ ახალ ვადაზე ან უარი განაცხადოს შეთანხმებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას დადებულ პირობით ვადის გასვლის შემდეგ.

5) შეთანხმებული მხარეები პირობას სდებენ სოლიდარულათ გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკებანი, მიმართულნი დამოუკიდებლობის და ორთავე სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებების დასაცავათ.

7) ამ პირობების დადების შემდეგ რომელიც აღნიშნულია პირველ და მეორე პარაგრაფში შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხენ არ შეკრან სეპარატიული ზავი.

8) შეთანხმებული მხარენი მოვალეთ რაცხენ არ შეკრან სამხედრო კონვენციები სხვა სახელმწიფოებთან მოკავშირის წინასწარ თანხმობის განუცხადებლათ.

9) თუ იმ ვადის გასვლამდე, რომელიც მეხუთე პარაგრაფშია აღნიშნული, შეიქმნება ხალხთა ლიგა, რომელიც გარანტიას მისცემს დამოუკიდებლობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ ყველა სახელმწიფოებს, რომელნიც კი მის შემადგენლობაში შევა, მაშინ იმ დღიდან, როდესაც შეთანხმებულთა რესპუბლიკანი შევლენ ამ ლიგაში, აღნიშნული ხელშეკრულება ჰკარგავს თავის ძალას.

10) ამიერ-კავკასიის მესამე რესპუბლიკას სომხეთს ენიჭება უფლება 2 კვირის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების ოფიციალურად გამოცხადებისა განაცხადოს თავისი თანხმობა ამ შეთანხმებულ რესპუბლიკებთან შეერთების შესახებ:

11) რატიფიკაციების გაცვლა ხდება ბაქოში ორის კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12) ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ დედნათ.

საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**, სამხედრო მინისტრი **რამიშვილი**, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ მაიორი **გედევანიშვილი**. გენერალი **ოდიშელიძე**.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ადერბეიჯანის რესპუბლიკისა **მ. ი. ჯაფაროვი**. სამხედრო მინისტრი **მეხმანდაროვი**, გენერალურ შტაბის უფროსი გენ ლეიტენანტი **სულკევიჩი**.

ქ. თფილისი 1919 წლის, 16 ივნისი.

გენერალი დენიკინი და ადმირალი კოლჩაკი.

მოგვყავს ბრძანება გენერალ დენიკინისა რომლის ძალით იგი ემორჩილება ადმირალ კოლჩაკს.

„უმაღლესი გმირობამ მოხალისეთა ჯარისამ ყუბანის, დონის და თერგის კაზაკებისამ და მთის ხალხისამ გაანთავისუფლა სამხრეთ რუსეთი. არმია დაუბრკოლებლივ მიიწევს რუსეთის გულისაკენ.

მთელი რუსეთის ხალხი უცქერის მათ გამარჯვებას. ზურგში კერძო პატივმოყვარეობისათვის მწიფდება გამყიდველობა, რომელსაც ვერ აბრკოლებს დიდი რუსეთის დანაწილება. ჩვენი სამშობლოს დახსნა შეუძლია ერთ სრულ უფლებიან ძალაში და განუყოფელ სამხედრო ერთ ბრძანებლობაში.

გამოვდივარ რა ამ ღრმა რწმენიდან ვსდებ ჩემს სიცოცხლეს მხურვალედ საყვარელ სამშობლოს სამსახურისათვის და ვაყენებ რა ყველაზე უფრო მაღლა მის კეთილდღეობას მე ვემორჩილები ადმირალ კოლჩაკს, როგორც რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს გამგეს და მაღალ მბრძანებელს რუსეთის არმიისას. დალოცოს ღმერთმა მისი ჯვარედინი გზა და მისცეს გამარჯვება რუსეთს.

დედანზე სწერია: სამხრეთ რუსეთის მხედრობის მთავარსარდალი.

გენ. ლეიტ. დენიკინი.

ქალ. ეკატერინოდარი. 30 მაისი.

ს